საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება
№170

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

ქ. ქუთაისი 28 თებერვალი 2018 წ.

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება წარმოდგენილი სახით.
/დებულება თან ერთვის/

3. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

4. დადგენილება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: პროფ. სულხან კუპრაშვილი

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემგომში - „უნივერსიტეტი“) უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება (შემდგომში - „დებულება“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, შრომის კოდექსის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების (შემდგომში - „უნივერსიტეტის წესდება“), სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე;

1.2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდგომში - „ცენტრი“) სტატუსს, ფუნქციებს და ამოცანებს, კომპეტენციას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულებას, ცენტრის სტრუქტურას, მართვის სისტემას და აწესრიგებს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს;

1.3. დებულებას შეიმუშავებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ამტკიცებს უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობითი ორგანო - უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;

1.4. ამ დებულებით განსაზღვრული ცენტრის ფუნქციები და ამოცანები წარმოადგენს ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებას.

მუხლი 2. ცენტრის სტატუსი, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

2.1 „ცენტრი“ არის უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული;

2.2 „ცენტრი“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებითა და ამ დებულებით;

2.3 „ცენტრი“პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე და ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

3.1 ცენტრის სტრუქტურას შეიმუშავებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

3.2 ცენტრის ზოგად ხელმძღვანელობას ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს უწყვეტი განათლების ცენტრის ხლმძღვანელი;

3.3 უწყვეტი განათლები ცენტრი მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობებს: ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის სპეციალისტი, ენების შემსწავლელი კურსების მენეჯერ-კოორდინატორი, ენების შემსწავლელი კურსების სპეციალისტი, მთარგმნელთა ბიუროს თანამშრომლები;

3.4 „ცენტრის“ შიდა პოზიციური სტრუქტურა თან ერთვის დებულებას

3.5 უწყვეტი განათლების ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი;

3.6 ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;

მუხლი 4. ცენტრის მიზნები

4.1 უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება, მნიშვნელობის გაძლიერება და თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ გამოწვევებზე რეაგირება.

მუხლი 5. ცენტრის ფუნქცია-მოვალეობები

5.1 სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, ბიზნესის სექტორთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა სუბიექტებთან თანამშრომლობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, უწყვეტი განათლების პროგრამების პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

5.2 უწყვეტი განათლების პროგრამების ადმინისტრირება (მათი შემუშავებისა და დამტკიცების კოორდინირება, პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოძიება).

5.3 მსმენელების ჩარიცხვა უწყვეტი განათლების პროგრამებზე, სერტიფიკატების დამზადება, გაცემა და შესაბამისი აღრიცხვის წარმოება.

5.4 უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობა და მათთვის ცენტრის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება.

5.5 უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი ტრენინგების/კურსების ორგანიზება.

5.6 საზოგადოების ინფორმირება უწყვეტი განათლების პროგრამების შესახებ

მუხლი 6. ცენტრის უფლებამოსილება და პასუხიხმგებლობა

6.1 ცენტრის ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ცენტრისა და მისი თანამშრომლების უფლებამოსილებათა ერთობლიობა წარმოადგენს ცენტრის კომპეტენციას;

6.2 ცენტრი მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებისას, უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ზომები ცენტრის ფუნქციების განხორციელებისა და ამოცანების შესრულების მიზნით;

ბ) იხელმძღვანელოს ცენტრის საქმიანობისას უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის და წინამდებარე დებულების მიხედვით;

გ) ცენტრის მუშაობისთვის , უზრუნველყოს შრომის აუცილებელი პირობების შექმნა, განსაზღვროს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტები;

დ) უზრუნველყოს ცენტრის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვანი შესრულება უნივერსიტეტის შინაგანაწესის და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულების ფარგლებში;

ე) გაახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციები და მოვალეობები კომპეტენციის ფარგლებში.

6.3 ცენტრი პასუხისმგებელია:
ა) ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების და ამოცანების შესრულებაზე;
ბ) უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების მართვის სფეროს უზრუნველყოფაზე;
გ) უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მითითებისა და დავალებების შესრულებაზე;
დ) გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობაზე.

მუხლი 7. ცენტრის პერსონალი

7.1 ცენტრის პერსონალის მიღების წესი განისაზღვრება შრომის კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესაბამისად.

7.2 ცენტრის პერსონალის შრომითი ურთიერთობები განისაზღვრება წერილობითი შრომითი ხელშეკრულებით.

7.3 ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საქმიანობასთან დაკავშირებული ინსტრუქციები თან ახლავს დებულებას.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე დებულების ან მისი ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა, დებულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

8.2 ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის ამ დებულებით, რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებით.

უწყვეტი განათლების ცენტრის პოზიციური სტრუქტურა